ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა - ლიცეუმი, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ზვიად ბერიძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრი:

ნიკა უთალიშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს - ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა- ლიცეუმი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	212917174

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ქუთაისი
ფაქტობრივი მისამართი	საქართველო, ქუთაისი, ირ. აბაშიძის ქ., №22
საფოსტო ინდექსი	6400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	nikoladzeschool.edupage.org
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	n.nikoladze2004@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 6 25 0001321142 09.10.2025 (შესულია ცვლილება ბრძანება MES 8 25 0001454642 31.10.2025 წ)
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	4 და 5 ნოემბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 09 აგვისტოს MES 6 25 0001321142 გრძანების საფუძველზე (აღნიშნულ გრძანებაში შევიდა ცვლილება MES 8 25 0001454642 31.10.2025 წ, კერძოდ შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის წევრი) ექსპერტთა ჯგუფმა ა.წ. 4 და 5 ნოემბერს განვახორციელეთ გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმში, მის. ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის ქ. №22.

გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა, ავტორიზაციის პირობების შესაბამისობის შეფასება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ გრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა)“, „გ)“ და „დ)“ სტანდარტების შემოწმება.

ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ჩატარდა ინტერვიუირება, სკოლის ადმინისტრაციასთან, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა და მშობელთა წარმომადგენლებთან.

ინტერვიუირებისას ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია ავტორიზაციის სტანდარტთან დაკავშირებით.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
380	**283**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დასკვნის პროექტში დაფიქსირებული იქნა შემდეგი ხარვეზები:

1) ინდიკატორი N1.2.2.2.

სტანდარტის ინდიკატორით დადგენილი მოთხოვნა დარღვეულია, კერძოდ სკოლის დირექტორის 2023 წლის 23 ივნისის N2-91 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიით დადგენილი წესით სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით გაერთიანებული შეხვედრის გამართვისა და შეფასების პროცესში სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობის ფაქტი დოკუმენტურად არ დასტურდება.
აღსანიშნავია, რომ მოთხოვნა, რასაც სტანდარტის ინდიკატორი უყენებს სკოლას არის ის, რომ სკოლამ თავისივე დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. რაც მოცემულ შემთხვევაში არ არის განხორციელებული.

2) ინდიკატორი N3.1.2.1.

ა) სკოლას შრომითი ხელშეკრულებით (ხელშეკრულება N5-11 12.09.2025) დანიშნული ჰყავს ფიზიკის შემცვლელი მასწავლებელი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,ღ[10]'' პუნქტის თანახმად შემცვლელი მასწავლებელი, შეიძლება სამუშაოზე აყვანილი იქნეს, მხოლოდ დროებით არმყოფი მასწავლებლის შეცვლის მიზნით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება.
ბ) სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ შინაგანაწესში სხვადასხვა დროს შესულია არაერთი ცვლილება, აღნიშნული ცვლილების დასაქმებულთათვის გაცნობის ფაქტი სკოლის მიერ დადასტურებული არ არის.

3) ინდიკატორი N3.1.2.3.

სკოლას მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს უფლების ჩამორთვევის შესახებ ცნობის წარმოდგენის გარეშე. აღნიშნული ცნობის წარმოდგენის გარეშე პირის სამუშაოზე აყვანა, წინააღმდეგობაში მოდის ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 33[1]-ე მუხლით პერსონალის მიმართ დადგენილ შეზღუდვასთან.

4) ინდიკატორი N3.1.2.4.

ა) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის და თურქული ენის წრის მასწავლებლის კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, კერძოდ პირად საქმეში განთავსებულია აღნიშნული პერსონალის უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აღიარებული არ არის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბ) ფიზიკის მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მესამე პრიმა მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5) ინდიკატორი N3.4.1.6.

ა) ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს სკოლის მიერ დადგენილი წესის თანახმად შეზღუდული აქვს ჩანაწერის გადახვევის და გადმოწერის (კომპიუტერზე ან ინფორმაციის სხვა მედია მატარებელზე) უფლება, თუმცა სკოლის მიერ დადგენილი წესითვე ხსენებული პირი ასევე მხარს უჭერს პერსონალური მონაცემების შეგროვებას და შენახვას.

ბ) ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მონიტორინგის ეკრანი განთავსებულია სამუშაო ოთახში, კედელზე თვალსაჩინო ადგილას. ოთახი წარმოადგენს სკოლის ორი თანამშრომლის სამუშაო სივრცეს, მათ შორის ერთ-ერთ დასაქმებულს სკოლის მიერ არა აქვს განსაზღვრული

უფლება წვდომა ჰქონდეს აღნიშნულ მონაცემებზე. ამასთან სამეთვალყურეო ეკრანი ოთახში განთავსებულია იმგვარად, რომ მასზე წვდომის შესაძლებლობა აქვს ოთახში შემსვლელ ნებისმიერ პირს.

გ) სკოლის მიერ არ არის დასაბუთებული დირექტორის მოადგილე/IT მენეჯერის ფუნქციების შესრულება რამდენად საჭიროებს ვიდეო კამერების მონიტორინგზე (რეალურ რეჟიმში) წვდომის საჭიროებას.

6) ინდიკატორი N3.4.1.7.

სკოლას არ აქვს მიღებული ვიდეო მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემთა დამუშავების შესაძლო და თანამდევი საფრთხეების შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები (მათ შორის, მონაცემთა ინფორმაციული უსაფრთხოების მექანიზმები (კონფიდენციალურობა, მთლიანობა, ხელმისაწვდომობა) და სხვა), რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას უკანონო დამუშავებისგან, მათ შორის გამჟღავნებისგან ან გამოყენებისგან.

დაწესებულებამ 2025 წლის 27 ნოემბრის N4/142 კორესპონდენციით წარმოადგინა, არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას ხარვეზებთან დაკავშირებით.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად:
ა) 2025 წლის 18 ნოემბერს გაიმართა სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ჯგუფის წევრები და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებმაც დაადასტურეს 2025 წლის 27 ივნისის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე დასწრება და მონაწილეობა.
ბ) ფიზიკის მასწავლებელი, გადაყვანილი იქნა მოწვეულ მასწავლებლად, ხოლო შიდა კონკურსით - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N 241 დადგენილების 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელს დაემატა მათემატიკის საგაკვეთილო საათებთან ერთად ფიზიკის საგაკვეთილო საათები.
გ) სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 ნოემბრის N 2/ს-63 ბრძანებით დაამტკიცა შინაგანაწესში შეტანილი ცვლილებების დასაქმებულთათვის გაცნობის აქტი;
დ) დადასტურებული იქნა სკოლის პედაგოგის მიერ უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის წარმოდგენის ფაქტი;
ე) თურქული ენის წრის მასწავლებელმა, წარმოადგინა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი. სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 ნოემბრის N 2 /ს-62 ბრძანებით ცვლილებები შევიდა 2023 წლის 5 სექტემბრის N 2/ს-07 ბრძანებით დამტკიცებულ შპს „ ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ დასაქმებულთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში. კერძოდ, მე-17 მუხლში, რომელიც ითვალისწინებდა მნეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და უნარ-ჩვევებს. ფიზკის მასწავლებელთან სკოლამ

გააფორმა შეთანხმება შრომითი ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, აღნიშნულის შედეგად ფიზიკის მასწავლებელი გადაყვანილი იქნა მოწვეულ მასწავლებლად, რომლის საათობრივი დატვირთვა არ აღემატება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს (9 საგაკვეთილო საათი);

ვ) IT მენეჯერთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, კონკრეტულად გაიწერა დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები. აიტი მენეჯერს ეძლევა უფლება მიზნობრივად და კონტროლირებულად ჰქონდეს წვდომა ვიდეომონიტორინგის სისტემაზე. დასაქმებულს ვიდეოკამერების რეალურ დროში გამოსახულებაზე წვდომა (Live View) ექნება მხოლოდ იმისთვის, რომ შემოწმდეს სისტემის მუშაობა და ტექნიკური პრობლემა. ამასთან, ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონიტორინგის ეკრანი, რომელიც განთავსებული იყო სამუშაო ოთახის კედელზე, ჩახსნილია, შესაბამისად მოცემულ ეტაპზე წვდომა არ აქვს მესამე პირს ვიდეომონიტორინგის კამერების ეკრანთან;

ზ) სკოლამ დანერგა ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მონაცემთა უსაფრთხოების მიმართულებით. ვიდეომონიტორინგის სისტემა და ვიდეოჩანაწერები დაცულია არამართლზომიერი ხელყოფისა და გამოყენებისგან. დაწეებულებამ უზრუნველყო ვიდეოჩანაწერებზე წვდომის თითოეული შემთხვევის აღრიცხვა, მათ შორის, წვდომის დროისა და მომხმარებლის სახელის აღრიცხვა, რომელიც წვდომის განმახორციელებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. ტექნიკური უზრუნველყოფისთვის დაწესებულებამ შეისყიდა და დანერგა შესაბამისი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების პროცესების მონიტორინგს, ლოგების ავტომატურ წარმოქმნასა და უსაფრთხო მართვას.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით გატარებული ღონისძიებები, რის შედეგადაც შეიცვალა შეფასება პირველ და მესამე სტანდარტთან მიმართებით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს*	*სასურველია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში მკაფიოდ განსაზღვროს ის ობიექტური გარემოებები, რომელიც დაადასტურებს, სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევას, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგების სათანადო შეფასებას.*
ინდიკატორი N1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*სასურველია სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში სკოლამ შექმნას მეტი მტკიცებულებები, რომელიც უფრო ცხადს გახადის თუ რამდენადაა დაკავშირებული სამოქმედო გეგმით გაცხადებული მიზნები, დაგეგმილი აქტივობები, მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებებთან. არსებითად ეს უნდა იყოს კონკრეტულ ქმედებებში ასახული.* *სკოლის მიერ შექმნილი მტკიცებულებები და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სამოქმედო გეგმა ჯეროვნად ვერ პასუხობს რეალურ საჭიროებებს, აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სკოლამ სამოქმედო გეგმა მოიყვანოს რეალობასთან თანხვედრაში რათა სამოქმედო გეგმამ არ დაკარგოს აქტუალობა და ზუსტად შეესაბამებოდეს სასკოლო საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს. ამასთან სასურველია იდენტიფიცირდეს სკოლის ის საქმიანობა, რომელიც არ გულისხმობს სამოქმედო*

		გეგმით დასახული მიზნების რეალიზებას, ასევე პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ემსახურება მათ. *სასურველია სკოლის მიერ დაინერგოს შიდა კონტროლის იმგვარი მექანიზმი, რომ ასეთი დამხმარე საქმიანობის განხორციელება შესაძლებელი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი განხორციელება ხელს არ უშლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას ან/და არ აბრკოლებს მათ.*
ინდიკატორი N1.2.2.1.	*სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს*	*სასურველია შემხვედრ საჭიროებებზე ეფექტური რეაგირების უზრუნველსაყოფად სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვროს სტრატეგიული გეგმის არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების საფუძვლები და წესი.*
სტანდარტი N3	***სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა***	***რჩევა***
ინდიკატორი N3.1.2.1.	*პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად*	*,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის ერთი ერთი პრიმა პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის თანახმად მასწავლებელი ვალდებულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოს კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი წესებით მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ." აღნიშნული ცნობის წარდგენის ვალდებულებას და წესს არ ითვალისწინებს პედაგოგებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები და შიდა სასკოლო დოკუმენტები.* *აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა პედაგოგებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში განსაზღვროს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესი და პროცედურა.*
ინდიკატორი N3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს*	*ა) სასურველია სკოლამ ღია კონკურსის შესახებ განაცხადში, სავალდებულო ინფორმაციის გარდა, მიუთითოს ყველა ის*

	პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	არასავალდებულო ინფორმაციაც რასაც ითვალისწინებს განაცხადის ფორმა. აღნიშნული გაზრდის კონკურსანტების ინფორმირებულობას და შესაძლოა კონკურსში მონაწილეობის დაინტერესებასაც უფრო მეტად შეუწყოს ხელი. ბ) საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმების შესწავლით დგინდება, რომ უმეტეს შემთხვევაში, კომისიის მუშაობაში მონაწილეობას არ ღებულობს დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე სასურველია სკოლამ საკონკურსო კომისიის მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით კონკურსის საორგანიზაციო საკითხები წარმართოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს კომისიის თითოეული წევრის, მათ შორის დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტის სხდომებში მონაწილეობა.
ინდიკატორი N3.2.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან	სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არ არეგულირებს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ექსპერტთა მოსაზრებით თანამშრომლების ეფექტური მოძიებისა და შერჩევის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზა, რითაც ორგანიზაციას შეუძლია გააუმჯობესოს ადამიანური რესურსების მართვის ეფექტურობა, არის ადაპტაციის პროგრამის სტრატეგიულად გამოყენება, წინასწარ გაწერილი მექანიზმების საშუალებით. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს ადაპტაციის პროგრამა, რომლითაც დარეგულირდება ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მოწყობისა და ადაპტაციის პროცესი.
ინდიკატორი N3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ	ვინაიდან სკოლის საქმიანობის ცალეკული მიმართულებით იკვეთება ნაკლოვანებები სასურველია სკოლამ გადახადოს შიდა ხარისხის არსებულ სისტემას და შეფასების შედეგების საფუძველზე შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი მექანიზმები,

	მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	*რათა უფრო მეტად შეუწყოს ხელი მოსწავლეზე ორიენტირებული, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის ჩამოყალიბებას პროცედურების დაგეგმვას, შეფასებას, მუდმივ განვითარებასა და ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.*
ინდიკატორი N3.3.1.3.	*სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა*	*განცხადების/საჩივრის განხილვის შესახებ დოკუმენტის 3.3. პუნქტის თანახმად საჩივარი წარედგინება დირექტორს, ხოლო თუ განმცხადებელი ასაჩივრებს დირექტორის ქმედებას - პარტნიორთა საერთო კრებას. არ არის დარეგულირებული საჩივრის განმხილველი ორგანოების (პარტნიორთა კრება/ სკოლის დირექტორი) მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა და წესი. სკოლას მიეცა რჩევა განცხადების/საჩივრის განხილვის შესახებ დოკუმენტით მკაფიოდ განსაზღვროს საჩივრის განმხილველი ორგანოების (პარტნიორთა კრება/ სკოლის დირექტორი) მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. სასურველია სკოლის სტრუქტურული ერთეული რომელიც იღებს სასკოლო საზოგადოებაზე ან მის რომელიმე წევრზე გავლენის მქონე გადაწყვეტილებას, რეგლამენტირებული იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი და უფლებამოსილების ფარგლები.*
ინდიკატორი N 3.4.1.8.	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის*	*სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მიზანია: სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია სკოლამ გადახედოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შიდა ორგანიზაციულ მექანიზმებს, განახორციელოს ინფორმაციული სისტემის კვლევა დაცულობის ხარისხის შესამოწმებლად.*

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	
ინდიკატორი N4.1.1.1.	*სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა*	*მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას, თუმცა ვიცე-პრეზიდენტის არჩევის პროცდურა თვითმმართველობის დებულებით დარეგულირებული არ არის.* *სასურველია სკოლამ მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებაში გაწეროს მოსწავლეთა თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის არჩევის წესი და პროცედურა.*
ინდიკატორი N4.1.1.1.	*მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება*	*მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების 9.5.1. ქვეპუნქტით დადგენილი რეგულაცია, ითვალისწინებს ხელშეკრულების ავტომატურ შეწყვეტას ვადის გასვლის გამო. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მოსწავლის სტატუსი არ არის დამოკიდებული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადასთან.* *აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია სკოლამ დააზუსტოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის (შემდგომში- სკოლა) მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა შექმნას თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, უსაფრთხო სასწავლო-აღმზრდელობითი გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და გლობალური ფუნქციური უნარ-ჩვევების აღმოჩენასა და განვითარებაზე. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტის დაძლევა, ხარისხიანი განათლების მიწოდება მოსწავლისთვის, რომელიც შემდგომში შეძლებს მსოფლიო საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიასა და ხედვაში იკვეთება სკოლის როლი, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები (შიდა დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები და სხვა) აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით), რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. შესაბამისად სკოლაში არის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნა სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 ივლისის N2-104 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. აღნიშნული ბრძანებით შექმნილ ჯგუფს დაევალა 2023 წლის 08 სექტემბრამდე სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება. ასევე წარმოდგენილი იქნა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, ოქმი N1 (14.07.2023), სადაც მოცემულია ინფორმაცია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ფორმების შესახებ და ოქმი N2 (30.08.2023 წ), სადაც მოცემულია ინფორმაცია სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების საბოლოო ვერსიის შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში განსაზღვრული იყო და მის საქმიანობაში მონაწილეობას ღებულობდა ორი მოსწავლე და ორი მშობელი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლამ მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება უზრუნველყო სამუშაო ფორმატში. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტის თანახმად მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით. სკოლაში დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო საშუალებები: ა) სკოლის ვებ-გვერდი; ბ) ელექტრონული ფოსტა; გ) სოციალური ქსელი; დ) საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან; ე) სკოლის სტენდი; ვ) სკოლის ელექტრონული ჟურნალი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ძირითად დოკუმენტებში (სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრატეგიული განვითარების გეგმა) და სკოლის ვებ.გვერდზე, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის საჯარო ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 23 ივნისის N 2-91 ბრძანებით დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტით, იფარება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის დირექტორის (ბრძანება N 2/ს-22 08.09.2023 წ) მიერ, პარტნიორთა კრებასთან შეთანხმებით, დამტკიცებულია სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზანს და მიზნის მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, შედგენილია 7 წლიან პერიოდზე (2023-2030 წწ).
სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მიმდინარეობდა 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის ჩართულობით. პროცესი განხორციელდა მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ. დოკუმენტის შემუშავების პროცესი წარიმართა შემდეგი ციკლის შესაბამისად. სამუშაო ჯგუფის შექმნა, swot ანალიზი, ჯგუფის მიერ მისიის, ხედვის, ღირებულებების სამუშაო ვერსიების და კითხვარის შემუშავება, უკუკავშირის მიღება, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების სამუშაო ვერსიებისა და მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსიების შემუშავება, სკოლის

სტრატეგიული მიმართულებების და ამოცანების პარტნიორთა კრების მიერ განხილვა, პარტნიორთა კრებასთან შეთანხმება და დამტკიცება.
სტრატეგიული გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და დგინდება აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობა. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.
სტრატეგიული გეგმით მკაფიოდ არ არის განსაზღვრული მიზნის მიღწევის ინდიკატორები. ინდიკატორი წარმოადგენს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების შემოწმების საშუალებას. ინდიკატორი უნდა ქმნიდეს მონიტორინგისა და შეფასებისთვის საჭირო ამომწურავი ინფორმაციის ბაზას, უნდა იყოს გაზომვადი, კონკრეტული და ამოცანების შესაბამისი. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე **სკოლას მიეცა რჩევა მკაფიოდ განსაზღვროს ის ობიექტური გარემოებები, რომელიც დაადასტურებს, სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევას, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგების სათანადო შეფასებას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია 2025-2026 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N 2/ს-40 05.09.2025 წ). ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სკოლის თვითშეფასებიდან. სკოლამ ავტორიზაციის მონიტორინგის ვიზიტის დროს დააკორექტირა მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, კერძოდ ამოღებული იქნა სკოლის დირექტორის მიერ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პარტნიორთა კრებასთან შეთანხმების ვალდებულება.
სასურველია სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში სკოლამ უფრო ცხადი გახადოს თუ რამდენადაა დაკავშირებული სამოქმედო გეგმით გაცხადებული მიზნები, დაგეგმილი აქტივობები, მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებებთან. არსებითად ეს უნდა იყოს კონკრეტულ ქმედებებში ასახული. სკოლის მიერ შექმნილი მტკიცებულებები და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სამოქმედო გეგმა სათანადოდ პასუხობს რეალურ საჭიროებებს, აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სკოლამ სამოქმედო გეგმა მოიყვანოს რეალობასთან თანხვედრაში რათა დაგეგმვის პროცესმა არ დაკარგოს აქტუალობა და ზუსტად შეესაბამებოდეს სასკოლო საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს. სასურველია იდენტიფიცირდეს სკოლის ის საქმიანობა, რომელიც არ გულისხმობს სამოქმედო გეგმით დასახული მიზნების რეალიზებას, ასევე პირდაპირ ან

არაპირდაპირ არ ემსახურება მათ. სკოლის მიერ უნდა დაინერგოს შიდა კონტროლის იმგვარი მექანიზმი, რომ ასეთი დამხმარე საქმიანობის განხორციელება შესაძლებელი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი განხორციელება ხელს არ უშლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას ან/და არ აბრკოლებს მათ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში (2025-2026 წწ) განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, რესურსები პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები.

სასურველია სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში სკოლამ შექმნას მეტი მტკიცებულებები, რომელიც უფრო ცხადს გახადის თუ რამდენადაა დაკავშირებული სამოქმედო გეგმით გაცხადებული მიზნები, დაგეგმილი აქტივობები, მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებებთან. არსებითად ეს უნდა იყოს კონკრეტულ ქმედებებში ასახული.

სკოლის მიერ შექმნილი მტკიცებულებები და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სამოქმედო გეგმა სრულად ვერ პასუხობს რეალურ საჭიროებებს, აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სკოლამ სამოქმედო გეგმა მოიყვანოს რეალობასთან თანხვედრაში რათა სამოქმედო გეგმამ არ დაკარგოს აქტუალობა და ზუსტად შეესაბამებოდეს სასკოლო საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს. ამასთან სასურველია იდენტიფიცირდეს სკოლის ის საქმიანობა, რომელიც არ გულისხმობს სამოქმედო გეგმით დასახული მიზნების რეალიზებას, ასევე პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ემსახურება მათ. სასურველია სკოლის მიერ დაინერგოს შიდა კონტროლის იმგვარი მექანიზმი, რომ ასეთი დამხმარე საქმიანობის განხორციელება შესაძლებელი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი განხორციელება ხელს არ უშლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას ან/და არ აბრკოლებს მათ. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი;
- სკოლის გრძელვადიანი (2023-2030 წწ) სტრატეგიის დოკუმენტი;
- სკოლის სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ აღნიშნული დოკუმენტის მე-10 მუხლში აღნიშნულია, რომ სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. მეთოდოლოგიის თანახმად, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება 7 წლიანი პერიოდის განმავლობაში სამჯერ. პირველი ანგარიში 5 სემესტრის შემდეგ, მეორე ანგარიში 10 სემესტრის შემდეგ და მესამე - 7 წლის გასვლის შემდეგ. სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2/ს-26 ბრძანებით, 2023-2030 სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება დაგეგმილია 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ბოლოს.
მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმის არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას, **შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა შემხვედრ საჭიროებებზე ეფექტური რეაგირების უზრუნველსაყოფად სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვროს სტრატეგიული გეგმის არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების საფუძვლები და წესი. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 23 ივნისის N2-91 ბრძანებით დამტკიცებული ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ (შემდგომში- მეთოდოლოგია) მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად ,,სკოლა სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამუშაო ჯგუფი. სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების <u>სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.</u> სხდომის თავმჯდომარე დეტალურად ეცნობა/განიხილავს სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმას და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: “ ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“, „შესრულდა“. (7 წლიანი სტრატეგიული გეგმის/ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები დანართი #1 სახით თან ერთვის დოკუმენტს). სამუშაო ჯგუფის შეხვედრას აოქმებს სამუშაო ჯგუფის მდივანი. ამასთან, ის უზრუნველყოფს წერილობითი ანგარიშების შეგროვებას და ოქმისთვის დართვას.“

მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამოქმედო გეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებს გაკეთებული აქვთ ანგარიში 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მეთოდოლოგიით დადგენილი პროცედურების დაცვით განხორციელების ფაქტი, **კერძოდ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) სხდომაზე (ოქმი N1 27.06.2025 წ) სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების დასწრების ფაქტი არ დასტურდება.** სხდომის ოქმის თანახმად სამუშაო ჯგუფის წევრებმა, გადაინაწილეს წარმოდგენილი ანგარიშები, რის შემდეგაც ერთწლიანი გეგმის მონიტორინგის ფორმაში ასახეს შესრულების სტატუსი.

სამუშაო ჯგუფის წვრებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ 2025 წლის 27 ივნისის სხდომას (ოქმი N1), სამუშაო ჯგუფის წევრების გარდა ესწრებოდნენ სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი მონაწილეობით განიხილეს წარმოდგენილი ანგარიშები, თუმცა აღნიშნული ინფორმაციის ასახვა სხდომის ოქმში გამორჩათ.

დაწესებულებამ 2025 წლის 27 ნოემბრის N4/142 კორესპონდენციით წარმოადგინა, არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას ხარვეზებთან დაკავშირებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად: 2025 წლის 18 ნოემბერს გაიმართა სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ჯგუფის წევრები და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებმაც დაადასტურეს 2025 წლის 27 ივნისის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე დასწრება და მონაწილეობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

მეთოდოლოგიის თანახმად, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება 7 წლიანი პერიოდის განმავლობაში სამჯერ. პირველი ანგარიში 5 სემესტრის შემდეგ, მეორე ანგარიში 10 სემესტრის შემდეგ და მესამე - 7 წლის გასვლის შემდეგ. შესაბამისად მოცემულ ეტაპზე სკოლას ვერ ექნებოდა სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების შედეგები, რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, მეთოდოლოგიის თანახმად ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის მიმდინარეობისას მუდმივად.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ამსახველი დოკუმენტები, განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე რაც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

მეთოდოლოგიის თანახმად, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების პირველი ანგარიში უნდა მომზადდეს 5 სემესტრის შემდეგ. შესაბამისად მოცემულ ეტაპზე სკოლას ვერ ექნებოდა სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების შედეგები. რაც შეეხება სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგებს ის ასახულია SWOT- ანალიზში, რომლის მიხედვითაც შემუშავებულია 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი;

- სკოლის გრძელვადიანი (2023-2030 წწ) სტრატეგიის დოკუმენტი;
- სკოლის სამოქმედო გეგმა (2024-2025 წწ);
- სკოლის სამოქმედო გეგმა (2025-2026წწ)
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები.
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N 2-183 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის დებულება, რომელშიც გაწერილია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. სკოლის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა საერთო კრებას, დირექციას,

ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივ კათედრებს და ტექნიკურ პერსონალს.

პარტნიორთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს, რომლის ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის წესდებით. გადაწყვეტილებას სკოლის სტრუქტურული ერთეულების შექმნის ან გაუქმების შესახებ (გარდა პარტნიორთა კრების შექმნა/გაუქმებისა), იღებს დირექტორი. სკოლის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება სკოლის დებულებით ან/და დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების დებულებებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით, არ არის გადაფარული სხვადასხვა დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დებულება
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულება
- სკოლის პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 სექტემბრის N2/ს-24 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად ხორციელდება სკოლაში პერსონალის მართვის პროცესებთან დაკავშირებული საკითხები. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მიზნებია: სკოლაში მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვა, შერჩევა და შენარჩუნება. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-19 მუხლი განსაზღვრავს, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასების პროცედურას, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასების პროცესის მიზანია სკოლის დამხმარე სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესებისა და თანამშრომლების პერსონალური განვითარების მიზნისათვის გამორკვეული იქნეს დამხმარე პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეები. მის განხორციელებასა და შემდგომ განვითარებაზე პასუხიმგებელია სკოლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ხოლო ზოგად ადმინისტრირებას ახორციელებენ დირექტორის მოადგილეები. ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თვითშეფასების ფორმას (დანართი N 3) ავსებს სკოლის სტრუქტურული ერთეულის ყველა თანამშრომელი. სკოლამ ავტორიზაციის მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში წარმოდგინა სკოლის პერსონალის შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, განხორციელებული პროცესები შესაბამისობაშია, ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით განსაზღვრულ წესთან.

დაწესებულებამ 2025 წლის 27 ნოემბრის N4/142 კორესპონდენციით წარმოადგინა, არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას ხარვეზებთან დაკავშირებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად:

ა) ფიზიკის მასწავლებელი, გადაყვანილი იქნა მოწვეულ მასწავლებლად, ხოლო შიდა კონკურსით - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N 241 დადგენილების 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ამავე

სკოლის მათემატიკის მასწავლებელს დაემატა მათემატიკის საგაკვეთილო საათებთან ერთად ფიზიკის საგაკვეთილო საათები.

ბ) სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 ნოემბრის N 2/ს-63 ბრძანებით დაამტკიცა შინაგანაწესში შეტანილი ცვლილებების დასაქმებულთათვის გაცნობის აქტი;

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის ერთი ერთი პრიმა პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის თანახმად მასწავლებელი ვალდებულია ,, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოს კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი წესებით მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.“ აღნიშნული ცნობის წარდგენის ვალდებულებას და წესს არ ითვალისწინებს პედაგოგებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები და შიდა სასკოლო დოკუმენტები. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე **სკოლას მიეცა რჩევა პედაგოგებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში განსაზღვროს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესი და პროცედურა. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. შიდა სასკოლო დოკუმენტებით დარეგულირებული პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები, კერძოდ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ჩანაცვლებას ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ გამოცხადებული ღია კონკურსების შესწავლის შედეგად დასტურდება,რომ სკოლა უზრუნველყოფს ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებას ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით.

ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება შეიცავს დასაბუთებას რატომ ვერ შეივსო, არსებული ვაკანტური პოზიცია შიდა კონკურსის საფუძველზე და რა ფაქტობრივმა გარემოებებმა განაპირობა ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, ამასთან ბრძანებით არის დადგენილი ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

teacherjobs.ge სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსების გადამოწმებით დგინდება, რომ ცალკეულ შემთხვევაში საკონკურსო განაცხადი არ შეიცავს ინფორმაციას სავარაუდო ხელფასის, კლასი რომლეზეც ცხადდება ვაკანსია და სამუშაო საათების შესახებ (კონკურსის ID 89427, 87034, 83220).

სკოლას მიეცა რჩევა კონკურსის შესახებ განაცხადში მიუთითოს ყველა ის არასავალდებულო ინფორმაციაც რასაც ითვალისწინებს განაცხადის ფორმა. აღნიშნული გაზრდის კონკურსანტების ინფორმირებულობას და შესაძლოა კონკურსში მონაწილეობის დაინტერესებასაც უფრო მეტად შეუწყოს ხელი.

2025 წელს შედგენილი საკონკურსო კომისიის ოქმების გადამოწმებით დგინდება, რომ კომისიის დამოუკიდებელი მოწვეული წევრი არ ესწრება კომისიის სხდომებს და აღნიშნული წევრის სხდომაზე გამოუცხადებლობის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ არის მოცემული სხდომის ოქმებში.

საკონკურსო კომისიის მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით სკოლას მიეცა რჩევა , კონკურსის საორგანიზაციო საკითხები წარმართოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს კომისიის თითოეული წევრის, მათ შორის დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტის სხდომებში მონაწილეობა.

მონიტორინიგის ვიზიტის დროს დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ თანამშრომელთა პირად საქმეში, **გარდა ერთი მასწავლებლისა** განთავსებული იყო ცნობა ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის

შესახებ. აღნიშნულ მასწავლებელს ვიზიტის პერიოდში წარდგენილი ჰქონდა განაცხადი უფლების ჩამორთვევის შესახებ ცნობის აღების თაობაზე, თუმცა ცნობის მომზადების პროცესი დასრულებული არ იყო. დაწესებულებამ 2025 წლის 27 ნოემბრის N4/142 კორესპონდენციით წარმოადგინა, არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას ხარვეზებთან დაკავშირებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად: დადასტურებული იქნა სკოლის პედაგოგის მიერ უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის წარმოდგენის ფაქტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის პერსონალის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის N 2ს-07 ბრძანებით.

დაწესებულებამ 2025 წლის 27 ნოემბრის N4/142 კორესპონდენციით წარმოადგინა, არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას ხარვეზებთან დაკავშირებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად:

ა) ფიზიკის მასწავლებელი, გადაყვანილი იქნა მოწვეულ მასწავლებლად, რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ბ) თურქული ენის წრის მასწავლებელმა, წარმოადგინა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი. სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 ნოემბრის N 2 /ს-62 ბრძანებით ცვლილებები შევიდა 2023 წლის 5 სექტემბრის N 2/ს-07 ბრძანებით დამტკიცებულ შპს „ ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ დასაქმებულთა დამატებით

საკვალიფიკაციო მოთხოვნებში. კერძოდ, მე-17 მუხლში, რომელიც ითვალისწინებდა მნეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და უნარ-ჩვევებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მართვა ხორციელდება მონაწილეობით, რაც გულისხმობს პერსონალის მაღალ ჩართულობას და თანამშრომლობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში. სკოლის პედაგოგების და მშობელთა წარმომადგენლები განსაზღვრული არიან, დისციპლინურ კომიტეტში, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში (მაგ: სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფი), მრჩეველთა საბჭოში, რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკის ცალკეული მაგალითები და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში. წარმატებული გამოცდილების კოლეგებისათვის გაზიარება საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ არსებულ გამოცდილებას, დასვან კითხვები, მიიღონ პასუხები, მოტივირდნენ კონსტრუქციული, პოზიტიური უკუკავშირით და აღიარებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;
- სკოლის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;

- სკოლის პერსონალის პირადი საქმე;
- კოლეგიური ორგანოების შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანებები;
- ღია კონკურსის მასალები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები მოცემულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 სექტემბრის N2/ს-24 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის თანახმადაც პროფესიული განვითარება ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავებას და გაუმჯობესებას აღნიშნული გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:

ა) პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას სამუშაოს კატეგორიის ცალკეული ფუნქციის თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე;

ბ) გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/ დაგეგმვას;

გ) მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-20 მუხლი არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში, ხელს უწყობს პედაგოგების მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის დირექციასთან, გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ახალმოსულ თანამშრომელს აწვდის ინფორმაციას მის სამუშაო პოზიციასა და როლთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, ასევე რა მოლოდინი აქვს მისგან ორგანიზაციას და რა ჩაითვლება სამუშაოს კარგად შესრულებაში. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელს, რომ თავი იგრძნოს ღირებულად, გაუჩნდეს მიკუთვნებულობის განცდა ორგანიზაციისა და მისი ღირებულებების მიმართ, რაც თავის მხრივ ზრდის თანამშრომლის კმაყოფილებისა და მოტივაციის დონეს. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არ არეგულირებს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ექსპერტთა მოსაზრებით

თანამშრომლების ეფექტური მოძიებისა და შერჩევის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზა, რითაც ორგანიზაციას შეუძლია გაუმჯობესოს ადამიანური რესურსების მართვის ეფექტურობა, არის ადაპტაციის პროგრამის სტრატეგიულად გამოყენება, წინასწარ გაწერილი მექანიზმების საშუალებით. შესაბამისად **სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს ადაპტაციის პროგრამა, რომლითაც დარეგულირდება ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მოწყობისა და ადაპტაციის პროცესი. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის მიერ დადგენილი მექანიზმების თანახმად თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით;
- სკოლის პერსონალის შეფასების ფორმები;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 სექტემბრის N2/ს-28 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც ადგენს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს.

დოკუმენტის მიზანია: ა) შექმნას ერთიანი პოლიტიკა, სახელმძღვანელო სტანდარტები, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას. ბ) ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, გარე აქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზება და გარე შეფასების ხელშეწყობა.

სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პასუხისმგებელი პირების მიერ 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს გაკეთებულია ანგარიშები სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

სკოლის სტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიმართულებების შესრულებას.

ვინაიდან სკოლის საქმიანობის ცალეკული მიმართულებით იკვეთება ნაკლოვანებები სასურველია სკოლამ გადახადოს შიდა ხარისიხის არსებულ სისტემას და შეფასების შედეგების საფუძველზე შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი

მექანიზმები, რათა უფრო მეტად შეუწყოს ხელი მოსწავლეზე ორიენტირებული, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის ჩამოყალიბებას პროცედურების დაგეგმვას, შეფასებას, მუდმივ განვითარებასა და ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესები, კერძოდ მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის მიერ წარმოდგენილია განცხადების/საჩივრის განხილვის შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 6 სექტემბრის N 2/ს-12 ბრძანებით), პროცედურა ითვალისწინებს როგორც ცალკეული, ასევე ერთობლივი საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას თუკი მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს და სკოლის პერსონალს მიაჩნიათ, რომ სკოლის მხრიდან ირღვევა მათი უფლებები ან/და არასწორად იქნა გამოყენებული საქართველოს კანონმდებლობა , სკოლის პოლიტიკა და პროცედურები.

განცხადების/საჩივრის განხილვის შესახებ დოკუმენტის 3.3. პუნქტის თანახმად საჩივარი წარედგინება დირექტორს, ხოლო თუ განმცხადებელი ასაჩივრებს დირექტორის ქმედებას - პარტნიორთა საერთო კრებას. არ არის დარეგულირებული საჩივრის განმხილველი ორგანოების (პარტნიორთა კრება/ სკოლის დირექტორი) მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა და წესი. **სკოლას მიეცა რჩევა განცხადების/საჩივრის განხილვის შესახებ დოკუმენტით მკაფიოდ განსაზღვროს საჩივრის განმხილველი ორგანოების (პარტნიორთა კრება/ სკოლის დირექტორი) მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა.**

მნიშვნელოვანია სკოლის სტრუქტურული ერთეული რომელიც იღებს სასკოლო საზოგადოებაზე ან მის რომელიმე წევრზე გავლენის მქონე გადაწყვეტილებას, რეგლამენტირებული იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი და უფლებამოსილების ფარგლები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, განცხადების/საჩივრის განხილვის შესახებ დოკუმენტში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია, რაც ხელს უწყობს მათი კანონიერი უფლებების დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;
- ანგარიშები სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ;
- განცხადების/საჩივრის განხილვის შესახებ დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის ოფიციალურ სოციალურ გვერდებს. სკოლის მიერ სოციალური გვერდის საშუალებით ვრცელდება მართვის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია და აღნიშნული საშუალებით ხდება უკუკავშირის მიღება. სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლაში შემოსული მოქალაქეების ინფორმირებაზე, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს. იმ შემთხვევაში თუ საკითხი სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, განსაზღვრავს ვიზიტორისთვის შემდგომ ადრესატს სამსახურებრივი პოზიციის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია შიდა სასკოლო მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (მაგალითად, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ.გვერდი;
- კოლეგიური ორგანოების დებულებები;
- კოლეგიური ორგანოების შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანებები;

- კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

   სკოლა აქვს:

   ა) უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

ბ) სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი, რომლის თანახმადაც, გაკეთებულია შემაჯამებელი შეფასება ობიექტის შესაბამისობის შესახებ (აქტი № 395 02.09.2024 წ).
გ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას კონტრაქტორ კომპანიასთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით. სკოლას შემუშავებული აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას, სკოლის შენობის პირველ სართულზე კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განთავსებულია ექიმის კაბინეტი. სკოლას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექიმი, შემუშავებულია პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის დირექტორის 2022 წლის 03 ნოემბრის N2-186 ბრძანებით, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დამტკიცებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი, სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს, სკოლის მიერ შემუშავებულია ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე

განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს.
მშობლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სკოლაში სათანადოდაა დაცული მოსწავლის ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ ემოციური უსაფრთხოება. ძალადობა (მისი ნებისმიერი ფორმით გამოვლინება) – არის აღმოფხვრილი, სკოლაში გარეშე პირთა შემოსვლის პროცესი და მოსწავლეთა მიერ სკოლის ტერიტორიის დატოვების პროცესი არის – გაკონტროლებული, ამასთან მოსწავლეთა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, შემუშავებულია სათანადო მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სანიტარული კვანძი მოწყობილია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლასა და კონტრაქტორ კომპანიას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის თაობაზე მომსახურების გაწევის შესახებ, რაც მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას.
სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N2/ს-01 ბრძანებით დამტკიცებულია მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი.
სკოლის დირექტორის 2024 წლის 9 აგვისტოს N2/ს-59 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალურ მონაცემების დაცვის პოლიტიკა” .

დაწესებულებამ 2025 წლის 27 ნოემბრის N4/142 კორესპონდენციით წარმოადგინა, არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას ხარვეზებთან დაკავშირებით.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად:
IT მენეჯერთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, კონკრეტულად გაიწერა დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები. აიტი მენეჯერს (IT Manager) ეძლევა უფლება მიზნობრივად და კონტროლირებულად ჰქონდეს წვდომა ვიდეომონიტორინგის სისტემაზე. დასაქმებულს ვიდეოკამერების რეალურ დროში გამოსახულებაზე წვდომა (Live View) ექნება მხოლოდ იმისთვის, რომ შემოწმდეს სისტემის მუშაობა და ტექნიკური პრობლემა; ამასთან, ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონიტორინგის ეკრანი, რომელიც განთავსებული იყო სამუშაო ოთახის კედელზე, ჩახსნილია, შესაბამისად მოცემულ ეტაპზე წვდომა არ აქვს მესამე პირს ვიდეომონიტორინგის კამერების ეკრანთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

დაწესებულებამ 2025 წლის 27 ნოემბრის N4/142 კორესპონდენციით წარმოადგინა, არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას ხარვეზებთან დაკავშირებით.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად: სკოლამ დანერგა ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მონაცემთა უსაფრთხოების მიმართულებით. ვიდეომონიტორინგის სისტემა და ვიდეოჩანაწერები დაცულია არამართლზომიერი ხელყოფისა და გამოყენებისგან. დაწეებულებამ უზრუნველყო ვიდეოჩანაწერებზე წვდომის თითოეული შემთხვევის აღრიცხვა, მათ შორის, წვდომის დროისა და მომხმარებლის სახელის აღრიცხვა, რომელიც წვდომის განმახორციელებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. ტექნიკური უზრუნველყოფისთვის დაწესებულებამ შეისყიდა და დანერგა შესაბამისი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების პროცესების მონიტორინგს, ლოგების ავტომატურ წარმოქმნასა და უსაფრთხო მართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის დირექტორის 2022 წლის 03 ნოემბრის N2-186 ბრძანებით, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, წარმოდგენილია მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები, სკოლის დირექტორის ანგარიში, წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება რომ სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მიზანია: სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია სკოლამ გადახედოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შიდა ორგანიზაციულ მექანიზმებს, განახორციელოს ინფორმაციული სისტემის კვლევა დაცულობის ხარისხის შესამოწმებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- აქტი შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- შენობის მდგრადობის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა;
- ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების საკითხებში მომსახურების გაწევის შესახებ;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების შესახებ დებულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- სკოლის დირექტორის ანგარიში;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტები;
- ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის თაობაზე მომსახურების გაწევის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის საკუთრებაშია 1223 კვ.მ შენობა-ნაგებობა და 3000 კვ.მ მიწის ფართობი. სკოლის შენობა არის კეთილმოწყობილი. სკოლას აქვს დახურული სპორტული და სააქტო დარბაზი. სპორტული და სკოლის მიერ ორგანიზებული სხვა აქტივობები შიდა სივრცეების პარალელურად, საჭიროების შემთხვევაში ტარდება სკოლის ეზოში რომელიც კეთილმოწყობილია.
სკოლის მატერიალური რესურსი, იძლევა საშუალებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობის სისტემა, წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლა განთავსებულია ხუთ სართულიან შენობაში. გარდა საკლასო ოთახებისა შენობაში ასევე არის: ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, საქმისმწარმოებლის/ბუღალტრის ოთახი ,

დირექტორის ოთახი, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, სათავსო, დირექტორის მოადგილის ოთახი, არქივი. სკოლაში არის გათბობის ცენტრალური სისტემა, სკოლის ეზოში, ცალკე მდგომ შენობაში განთავსებულია საქვაბე. სკოლაში განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის და ბიჭებისთვის. სკოლას ასევე აქვს სივრცე სასადილოსთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობა. სკოლის წარმომადგენლის მოსაზრებით, ხელმისაწვდომობა გულისხმობს ღიაობას, გამჭვირვალობას და მიუკერძოებლობას სასკოლო საზოგადოების განურჩევლად ყველა წევრისთვის დაწესებულების ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით სარგებლობისას. ხელმისაწვდომობა რესურსებზე ასევე, მნიშვნელოვანი მოტივატორია მასწავლებლებისთვის, სასკოლო გარემოში მეტი დრო დაუთმონ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ ან ჯგუფურ მუშაობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და წიგნადი ფონდით. სკოლის მიერ დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება. სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობას ორგანიზებას, განსაზღვრული სერვისების მიწოდებას სასკოლო საზოგადოებისთვის უზრუნველყოფს სკოლის ბიბლიოთეკარი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა ბავშვს შეეძლება თავისი შესაძლებლობების გამოვლენა. სკოლას აქვს რესურს-ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერები, სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, სკოლას ასევე აქვს ადაპტირებული სველი წერტილი, ლიფტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად აქვთ კეთილმოწყობილი ეზო, სააქტო დარბაზი, საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, პროექტორებით, მთელი სკოლა დაფარულია ინტერნეტით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსით უზრუნველყოფილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სკოლას აქვს ცალკე სივრცე და მუსიკალური ინსტრუმენტები, მუსიკალური ბენდისთვის. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მოსწავლეები მართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს, ღონისძიებების ამსახველი მასალები (ფოტოები, მოსწავლეთა ნამუშევრები) განთავსებულია სასწავლო სივრცეებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა;
- სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება;
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის შენობაში განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია, საკლასო ოთახები აღჭურვილია პროექტორებით. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ის, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. სკოლის მიერ შემუშავებულია მატერიალური რესურსის გამოყენების/სარგებლობის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 4 სექტემბრის N2ს-05 ბრძანებით). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 31 აგვისტოს N 2-152 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. აღნიშნული წესი აზუსტებს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირება, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლას კონტრაქტორ ორგანიზაციასთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც იყენებს სკოლის მართვის ელექტრონული სისტემას EduPage. სკოლას ამავე კონტრაქტორი ორგანიზაციისაგან მიღებული აქვს ლიცენზია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენების თაობაზე. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ,,ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N08/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

საქმისწარმოების პროცესის შესწავლით დგინდება, რომ დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- კონტრაქტორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება, სკოლის მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენების შესახებ.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ვებ.გვერდის, სოციალური ქსელების და სხვა კომუნიკაციების არხების მეშვეობით სათანადოდ ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას, სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მიერ

განხორციელებული ღონისძიებებისა და საგანმანათლებლო სერვისების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, სკოლის ვებ.გვერდის ანალიზით დგინდება რომ, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლოს საქმიანობის შესახებ არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დადასტურებას. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ინფორმაციის მართვადობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებული ინფორმაციის ანალიზისა და ავტორიზაციის ვიზიტის დროს სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენოს არსებული საკომუნიკაციო არხები, ამასთან საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული**

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებულია: საკონტაქტო ინფორმაცია, მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები (ინფორმაცია სკოლაში მოქმედი მოსწავლეთა კლუბების შესახებ), სკოლის შინაგანაწესი, საჩივრის წარდგენის წესი და პროცედურები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიში. ვებ.გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ.გვერდი - nikoladzeschool.edupage.org

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება) და საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის საფუძველზე მიღებული შემოსავლები, სკოლის მიერ შემუშავებული ბიუჯეტი მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. არ იკვეთება სამოქმედო გეგმის განხორციელების რისკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი; ფინანსურ კონტროლი ხორციელდება პარტნიორთა კრების მიერ, რომელიც სკოლის დებულებით განსაზღვრული წესით ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი
- სკოლის ბიუჯეტის შედგენის წესი/დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს, შინაგანაწესში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ ასევე შემუშავებულია გასაჩივრების დეტალური პროცედურები შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის დარღვეული უფლებების შესახებ საჩივრის წარდგენის წესს და განხილვის პროცედურას.
სკოლის დირექტორის 2024 წლის 01 მაისის 2/ს-13 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. აღნიშნული დებულების მე-4 მუხლის თანახმად ,,მოსწავლეთა თვითმმართველობის პრეზიდენტი არის მოსწავლეთა თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც თავმჯდომარეობს თვითმმართველობას და წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში. მე-6 - მე-11 კლასების მოსწავლეები არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში ირჩევენ თვითმმართველობის პრეზიდენტს, რომელიც ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობას, თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატად შეიძლება დასახელდეს მე-6 - მე-11 კლასის მოსწავლე. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება ასევე ითვალისწინებს მოსწავლეთა თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას, თუმცა ვიცე-პრეზიდენტის არჩევის პროცდურა თვითმმართველობის დებულებით დარეგულირებული არ არის. **სკოლას მიეცა რჩევა თვითმმართველობის დებულებაში გაწეროს მოსწავლეთა თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის არჩევის წესი და პროცედურა. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი, საჩივრის განხილვის მექანიზმი, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. ხელშეკრულების 9.5.1. ქვეპუნქტით დადგენილი რეგულაცია, ითვალისწინებს ხელშეკრულების ავტომატურ შეწყვეტას ვადის გასვლის გამო. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად **მოსწავლის სტატუსი არ არის დამოკიდებული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმოამდგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადასთან.**
აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია სკოლამ დააზუსტოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის N2ს/10 ბრძანებით), აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, კანონმდებლობის გაცნობას, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებას, შეწყვეტასა თუ აღდგენას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა;

ბ) მოსწავლეთა მობილობა;

გ) სტატუსის შეჩერების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობა ;

დ) საფეხურის დაძლევა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, შესახებ ინფორმაცია მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მიერ წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა, რომლის თანახმადაც მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი

მიდგომების გამოყენებით. სადამრიგებლო პროგრამით დადგენილი აქტივობების შესრულება დასტურდება დამრიგებლის პორტფოლიოში განთავსებული დოკუმენტებით (მშობელთა კრების ოქმები, შესრულებული აქტივობის დამადასტურებელი ფოტომასალა).

კლასის დამრიგებლების პორტფოლიო ადასტურებს სკოლის მზაობას უზრუნველყოს სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი გაზიარება სასკოლო საზოგადოებისადმი.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

მშობლებთან, მოსწავლეებთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მათი მშობლებისა თუ კანონიერი წარმომადგენლებისთვის. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ცალკეული დოკუმენტები, რომელიც ეხება მოსწავლეთა კორპუსის მართვას, განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი;
- მოსწავლეთა პირადი საქმე;
- სადამრიგებლო პროგრამა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი სათანადო მექანიზმები, კერძოდ სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გაადვილოს სასწავლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს, პირველ კლასელებს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით. სკოლის მიერ დანერგილი სამუშაო პრაქტიკის და შემუშავებული მექანიზმების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლას შემუშავებული აქვს სარემედიაციო პროგრამა, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სარემედიაციო პროგრამის სამიზნე ჯგუფში არ შედიან ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. აღნიშნული პროგრამა იქმნება ბავშვებისთვის, რომლებიც სწავლის პროცესში აწყდებიან იმ ტიპის სირთულეებს, როგორიცაა – არასაკმარისი სასკოლო მზაობა, დეკოდირების პრობლემა, წაკითხულის გააზრება, ბგერებისა და ასოების არევა და სხვ.
რემედიაციის პროგრამა ორიენტირებულია მასში ჩართული თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ესგ-ის სტანდარტების მისაღწევად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი ფორმები და სტრატეგიები. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ ისეთ მოსწავლეებს, რომელთათვისაც სტანდარტული სასწავლო პროცესი სხვადასხვა საკვანძო/სამიზნე ინდიკატორით განსაზღვრული უნარ-ჩვევების დასაუფლებლად საკმარისი არ არის, ანუ გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებულ, არასრულყოფილად ნასწავლ/გამოტოვებულ კომპონენტთან მიბრუნებასა და ახლებურად სწავლებას იდენტიფიცირებული მოსწავლისათვის. სკოლის მიერ გატარებული ღონისძიებებით დგინდება, რომ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეთა ადმინისტრაციული მხარდაჭერას ახორციელებს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, კერძოდ მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მიერ მიეწოდება ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესახებ, როგორიცაა მოსწავლის მობილობის უფლება, მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებული საკითხები, ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესი და პირობები, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი და პირობები და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის დირექციასთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი,

არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება.
სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესების შესაბამისი კლუბები და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით შეთავაზებული წრეები.
სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის N 2ს/-09 ბრძანებით), რომლითაც დარეგულირებულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი პროცესები და განსაზღვრულია მექანიზმების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის დირექციასთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრებით დგინდება,რომ სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. მიღებული შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების მექანიზმების გაუმჯობესებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი;
- სარემედიაციო პროგრამა;
- მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის შესახებ დოკუმენტი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის კონსულტაციებს. აღნიშნული მომსახურება წარმოადგენს ნებაყოფლობით, მოსწავლეთა მხარდამჭერ ღონისძიებას. მომსახურების ფარგლებში სკოლის კარიერული დაგეგმვის კონსულტანტის მიერ ხდება იმ მოსწავლეებთან კარიერულ პორტფოლიოზე მუშაობა, რომლებიც გეგმავენ სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საზღვარგარეთ არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძონ. სკოლის კონსულტანტი მოსწავლეებს არეგისტრირებს საერთაშორისო პორტალზე, სადაც განთავსდება დაინტერესებული მოსწავლის პორტფოლიო. პორტფოლიოში მოსწავლე ეტაპობრივად ტვირთავს თავისი აქტივობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. სკოლის კონსულტანტი მოსწავლეებს ეხმარება ისეთი აქტივობების დაგეგმვაში, რაც შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის მისაღები ჰოლისტური შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი იქნება. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

პროფესიული ორიენტაციის მრჩევლის მიერ განხორციელებული აქტივობები, ხელს უწყობს მოსწავლეებს, მოსწავლეობის ასაკიდან ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლის პროცესში, რომლის ძირითადი მიზანია შეიქმნას პირობები რათა მოსწავლემ შეძლოს სასურველი პროფესიის შერჩევა საკუთარი ინტერესების, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების, განვითარების პერსპექტივისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს მიეწოდება ჯეროვანი ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად აფასებს გაწეული მომსახურების შედეგებს. პროფესიული ორიენტაციის მრჩეველი სკოლის დირექციას პირველი და მეორე სემესტრის

დასრულების შემდგომ წარუდგენს ანგარიშს განხორციელებული აქტივობის შედეგების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროფესიული ორიენტაციის მრჩევლის ანგარიში 2024-2025 სასწავლო წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში და სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შესახებ დოკუმენტში განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ისგ- ჯგუფი. კანონმდებლობით დადგენილი წესით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შესახებ დოკუმენტი;
- ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში სასწავლო დროს ფუნქციონირებს სასადილო. კვების ბლოკი სკოლას გაცემული აქვს იჯარით. საიჯარო ფართი გაცემულია 15.09.2025 დან 15.06.206 ჩათვლით. მეიჯარეს კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის მოპოვებული აქვს ხარისხის „ჰასპის“ სერტიფიკატი.

სკოლამ წარმოადგინა მეიჯარის (ბიზნესოპერატორი) ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან იჯარით აღებული ფართის მისამართზე შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების მითითებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები“ , ხსენებული დოკუმენტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: მეიჯარეს სკოლისთვის წარდგენილი აქვს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო

კონტროლის/ინსპექტირების აქტი. ინსპექტირება ჩატარებულია 2025 წლის 7 ოქტომბერს. შეფასების აქტის თანახმად კრიტიკული შეუსაბამობის ფაქტები გამოვლენილი არ არის.
სკოლა არ ახორციელებს სხვა ისეთ დამატებით სერვისებს, რომელსაც ჭირდება მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**
   სკოლა არ ახორციელებს სხვა ისეთ დამატებით სერვისებს, რომელსაც ჭირდება მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა არ ახორციელებს სხვა ისეთ დამატებით სერვისებს, რომელსაც ჭირდება მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- იჯარის ხელშეკრულება;
- ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან;
- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის/ინსპექტირების აქტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი.

თარიღი: 04.12.2025 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: